# სახალხო გაზეთი

№ 148 ოთხშაბათი, 3 ნოემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 148

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 4 მ., საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул. N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიექციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашаишвили.

თ-დი როსებ თადეოსის ძე და კნეინა სალომე მირეჯიბნი თავის შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 4 ნოემბერს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

კნ. ნატალია ვახტანგის ასულის ამირეჯიბის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე პანაშვიდი 11 ნახ. საათზე. (1194—1)

რ. ა. პორტუგალოვსა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან ოდესიდან და პეტერბურგიდან

დიდ ძალ

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალები

გაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემით მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიაში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ქუჩაზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—28)

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებით

გაიხსნა

საბავშვო ბაღი

ანასტასია კონსტანტინეს ასულის გედევანიშვსა.

დაწვრილებით ცნობათა და პირობათა შეტყობა საბავშო ბაღის შესახებ შეიძლება საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციაში დილიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ზ...შვილისა, № 8. მეცადინეობა დაიწყება 8 ნოემბრიდან (7—185—4)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი №

გ. ვაჩაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^{1}/_{2}$—$2^{1}/_{2}$ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. შოშიტაშვილი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით დაწ. $1\,1^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ.

ე. გ. ფედოროვა—ყოვ. დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—1 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; ეთვე ყვავილის აცრა და ძიძების ვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმები. (...—478)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი საშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროს პირდაპირ. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღე და ღამე. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—ბ., ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 1 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ზ. ქირურგ.-დღე 11—12 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელ. ცხვირ., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

ხოხოლევსკი ვ. გ. ქირ. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიური. ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვა. რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. აცრა, კონსილიუმი, ელექტრონით წამ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა სინჯვა და სხვა შეიძლება. საფასურით. (200—...)



ტელეფონი № 362. ქართული თეატრი წარმოდგენა № 19.

ხუთშაბათს, 4 ნოემბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა:

„მირრა ეფროს"

პიესა 5 მოქმედებად, ი. გორდინისა, თარგ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: კარგარეთელი ა., ლოლუა ა., ქილარჯიშვილი მ. ჩერქეზიშვილი ე., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი ვლ., გედევანოვი გ. გვარამე ნ., ყიფიანი ი., ზარდალიშვილი ი., მატარაძე გ., მგალობლიშვილი დ., მამფორია ი. და სხ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზოგადოება. რეჟისორი ვლ. ალექსი მესხიშვილი.

ადგილების ფასი: გალერეა 26—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში მეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „იმედის დაღუპვა", მისს გობს. ანუ „ქალის ჭკუა", „ორი ვნება", „ნორჩი თაობა" და სხვა.

ტფილ. საგუბერნიო გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ტფილ. სახაზინო პალატაში 1910 წ. 30 ნოემბერს, შუადღისას, 12 საათზე, მოხდება ზეპირად და დაბეჭდილის განცხადებით

საჯარო ვაჭრობა

პარტიობითა და ნაწილობით ტფილისის გუბერნიის საეტაპო ადგილების შენახვისა და მოწყობის საქმის იჯარით გასაცემად. ხელ-ახალი ვაჭრობა მოხდება პირველ ვაჭრობიდან სამის დღის შემდეგ. იჯარა სამის წლის ვადისაა, პირობის დამტკიცების დღიდან დაწყებული. ის პირნი, რომელთაც ჰსურთ ზეპირს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღონ, ვალდებულ არიან დანიშნულ დღის 11 საათამდე მისცენ ამის შესახებ ტფილისის სახაზინო პალატას თხოვნები სავაჭრო საბუთებითა თავის წოდების მოწმობითა და საჭირო გირაოთურთ, რაიცა უნდა იყოს 1/3 ნაწილი წლიურის საიჯარო თანხისა; ხოლო ვინც ვაჭრობაში მონაწილეობას იღებენ დაბეჭდილის განცხადებით, ვალდებულნი არიან, არა უგვიანეს ვაჭრობის დღის 11 საათისა, წარადგინონ ან გამოგზავნონ ტფილისის სახაზინო პალატაში განცხადებანი, დაწერილნი იმ ფორმით, რომელიც აღნიშნულია სახაზინო გასაკეთებელ საიჯარო საქმეთა დებულების 144 მუხლში (გამ. 1900 წ.), ზემოდ განმარტებულ საბუთებითა და გირაოთურთ. განცხადებანი, რომელნიც არ ეთანხმებიან ამ 144 მუხლში მოყვანილს წესებს, უვარგისად ჩაითვლებიან. ამ საგნის შესახებ პირობათა ნახვა შეუძლიანთ მსურველთ საგუბერნიო გამგეობასა და ტფილისის სახაზინო პალატაში ყოველ დღე, კვირასა და უქმე დღეებს გარდა, დილის 10-დან 12 ს.-დე.

ა ღ წ ე რ ა

ტფილისის გუბერნიის საეტაპო ნაწილებისა მათთვის დადგენილ ეტლებისა და ცხენების რიცხვითურთ.

საეტაპო ნაწილები მუდმივის მოწყობილებით.

ქალ. ტფილისში

| | |
|---|---|
| ტფილისისა (არის საეტაპო ეზო გადასაყვან ნაწილში | 6 ეტლი |
| **სიღნაღს მაზრაში:** | |
| კაკაბეთისა (არის საეტაპო ეზო) | 2 ეტლი |
| კაჭრეთისა (არის საეტაპო ეზო) | 2 „ |
| ნუკრიანისა | 5 „ |
| მუკუზანისა (არის საეტაპო ეზო) | 1 „ |
| ლაგოდეხისა (არის საეტაპო) | 2 „ |
| ალაზნისა (არის საეტაპო ეზო) | 2 „ |
| „თუქურმიშისა (არის საეტ. ეზო)". | 1 „ |
| **საეტაპო ნაწილები დროებითის მოწყობილებით.** | |
| **ტფილისის მაზრაში:** | |
| ვაზიანისა (არის საეტაპო ეზო) | 4 „ |
| სართიჭალისა (საეტაპო ეზო არის) | 4 „ |
| მუხროვანისა (საეტაპო ეზო არის) | 3 „ |
| **ახალქალაქის მაზრაში:** | |
| ხერთვისისა (საეტაპ. ეზო არის) | 2 „ |
| ახალქალაქისა | 2 „ |
| **თელავის მაზრაში:** | |
| თელავისა | 3 „ |
| **ახალციხის მაზრაში:** | |
| აწყურისა (საეტაპ. ეზო აზრის) | 2 „ |
| ასპინძისა (საეტაპო ეზო არის) | 2 „ |
| ახალციხისა | 2 „ |
| **გორის მაზრაში:** | |
| ბორჯომისა | 1 „ |

(3—189—1)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი ჯაბაშვილისა (უ)

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა), საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზალ.—69)

ექიმი ე. გაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—251)

ექიმი ქბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაგინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—24)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვების და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ-დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—1)

ექიმი ქბილისა ნინო რცხილაძე იზმაილოვის ქუჩაზე N 2. გადავიდა იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. 20 (0—6.—73)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)


## ტფილისი, 3 ნოემბერი

**აუცილებელი საჭიროება.** ეს რამდენიმე ხანია ჩვენს გაზეთებში კანტი-კუნტად იპარება ცნობები: წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წევრები თანდათან თავს ანებებენო. ამ შემთხვევაშიაც ქართველების ჩვეულებრივმა ურიგობამ იჩინა თავი. საზოგადოებამ გამგეობა აირჩია, ჩვენი კულტურულ დაწესებულების პატრონობა ჩააბარა, გამგე წევრები-კი სათითაოდ თავს ანებებენ გამგეობას და მთელს საზოგადოებას უპატრონოდ სტოვებენ. ეს უყურადღებობაა იმ საზოგადოებისადმი, რომელმაც ნდობით აღჭურვა იგინი, ეს უპატივცემლობაა თვით დაწესებულებისადმი. გამგეობის წევრებს უნდა ბოლომდე მიეყვანათ საარჩევნო ვადა, ან კიდევ კრება მოეწვიათ და ახალი არჩევნები დაენიშნათ გამგეობის წევრებმა არც ერთი გზა აირჩიეს, არც მეორე და ამით მხოლოდ თავისი უტაქტობა დაამტკიცეს.

დღეს ჩვენ ამაზე არ გვინდა ბაასი. ჩვენ გვაინტერესებს თვით საზოგადოების ბედ-იღბალი. ვერ ვიტყვით, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ამ უკანასკნელ წლებში არაფერი გაეკეთებინოს. ფილიალურ განყოფილებათა დაარსება ძალიან დიდი საქმეა. ამ ფილიალურ განყოფილებათა მნიშვნელობაზე იმდენი რამ დაწერილა ჩვენს გაზეთში, რომ მასზე შეჩერება მეტად მიგვაჩნია: ყველასათვის ცხადზედ უცხადესია, რომ ადგილობრივ ელემენტთა ამოძრავება და საქმეში აქტიური მონაწილეობის მიღება შესამჩნევად წინ წასწევს საზოგადოების საქმეებს. მაგრამ ამაზე შეჩერება არა კმარა. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ნაყოფიერ მოღვაწეობისთვის ჯერ კიდევ ბევრნაირი რეფორმებია საჭირო.

როდესაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ერთად ერთი ქართული კულტურული დაწესებულება იყო, მაშინ ყოველ-გვარი კულტურული საქმე ამ დაწესებულებაში იყრიდა თავს. წერა-კითხვის საზოგადოება ზრუნავდა სკოლებზე, ბიბლიოთეკებზე; იგივე საზოგადოება გადაიქცა არქეოლოგიურ ნაშთთა შემნახველად—მუზეუმი გაიჩინა. ამისთანა პირობებში კი ნაყოფიერი მოქმედება ყოვლად შეუძლებელია. ერთს საზოგადოებას არ შეუძლიან ყველა საქმეებს გაუწიოს ხელმძღვანელობა; იგი ამისთანა პირობებში ქუცმაცდება, დასახულ მიზნებს ინტენსიურად ველარ ემსახურება.

საზოგადოების მოქმედება გაცილებით უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, სამოქმედო ასპარეზი რომ შეემცირებინა და მთელი თავისი ძალ-ღონე პირდაპირ მიზნების განხორციელებისთვის მოენდომებინა. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების პირდაპირ დანიშნულებას წერა-კითხვის გავრცელება შეადგენს. ამიტომ მან მთელი გულისყური სკოლებსა და ბიბლიოთეკებს უნდა მიაქციოს. დღეს-კი ამას ვერა ვხედავთ. დღეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ათასნაირი საქმეა შეჯგუფული.

ჩვენის წარმოდგენით, ძალიან კარგს იზამს საზოგადოება, თუ, მაგალითად, არქეოლოგიას სრულიად თავს დაანებებს. სხვა და სხვანაირი კულტურული ინტერესები ჰბადებს სხვა და სხვანაირ კულტურულ დაწესებულებებს. ერთხანად ჩვენში სრულიად არ იყო განვითარებული ისტორიული მეცნიერება. დღეს კი მის განსავითარებლად მთელი საზოგადოება დაიბადა—ისტორიულ-ეთნოგრაფიული. ეს საზოგადოება ჯერეთ სრულიად ნორჩია, მაგრამ უკვე ბევრი საქმე გააკეთა და, რაც უფრო საყურადღებოა, საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიება წმინდა მეცნიერულ საფუძველზე დაამყარა. წერა-კითხ. გამავრცელებელმა საზოგადოებამაც ეს დარგი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას უნდა დაუთმოს და თვითონ კი თავის პირდაპირ მიზნების განხორციელებას შეუდგეს. ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია, რომ ყველა არქეოლოგიური ნაშთები წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას გადასცეს. იმით ახალს კულტურულ დაწესებულებასაც მეტი ავტორიტეტი მიეცემა და წერა-კითხვის საზოგადოებაც განთავისუფლდება მეტის შრომისაგან, რომელიც მხოლოდ აფერხებს მის მოქმედებას. ეს საკითხი შეტანილ უნდა იქმნას განსახილველად საზოგადოების მახლობელ საერთო კრებაზე.

ამ საკითხთან მჭიდროდაა დაკავშირებული საკითხი სამუზეუმო თანხისა. თუ წერა-კითხვის საზოგადოება იმ გზას დაადგა, რომელსაც ჩვენ ვურჩევთ, მაშინ სამუზეუმო თანხის საკითხიც თავის თავად გადაწყვეტილად ჩაითვლება: ისიც ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას უნდა გადაეცეს. მუზეუმი, საწყობი საქართველოს სიძველეთა იმ საზოგადოების სახელზე უნდა აშენდეს, რომელიც პირდაპირ ისტორიულ კვლევა-ძიების მიზნებს ისახავს. ასეთი საზოგადოება კი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოებაა.

რამდენაც ჩვენ გვახსოვს, წერა-კითხვის საზოგადოებაში იმყოფება სპეციალური სამუზეუმო თანხა. საზოგადო კრების გარდაწყვეტილებით, ეს თანხა უნდა გადაეცეს ეთნოგრაფიულ საზოგადოებას და ამავე საზოგადოებას მიენდოს ზრუნვა მუზეუმის აშენებაზე. ეს ჩვენ აუცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია და კიდეც ვეცდებით ჩვენი აზრი განვახორციელოთ.

## სახელმწიფო სათათბირო

**თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.** პირველ დაწყებით სკოლის კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას იწყებენ.

**პროექტის** პირველი მუხლი მოითხოვს, რომ სახალხო სკოლამ შეგირდებს სარწმუნოებრივი გრძნობა უნდა შეათვისოს, რუსეთის სიყვარული ჩაუნერგოს, პირველ-დაწყებითი ცოდნა შესძინოს და მათს გონების განვითარებას ხელი შეუწყოს.

**სამინისტროს პროექტი** კი თხოულობდა მხოლოდ სარწმუნოებრივ-ზნეობრივს აღზრდასა და პირველ-დაწყებითი ცოდნის მიცემას.

**შრომის ჯგუფის შესწორება:** პირველ-დაწყებითი სკოლა საზოგადო განათლების დაწესებულებაა, ხოლო მისი მიზანია პირველ-დაწყებითი სწავლა და მიმართულება მისცეს ბავშვებს:

**სოც-დემოკრატების შესწორება:** პირველ-დაწყებით სკოლის დანიშნულება მხოლოდ დაწყებითის ცოდნის მიცემა და გონებრივ განვითარების ხელის შეწყობაა.

**მარკოვი მეორე:** „რუსეთის სიყვარულის" მაგიერ ასე იყოს; „წმინდა სარწმუნოებისა, მე-

ფისა და სამშობლოს ერთგულება". კადეტები მთავრობის პროექტს ემხრობიან.

**განათლების მინისტრის ამხანაგს გეორგიევსკს** კომისიის პროექტი მთლიანად მოსწონს და მხარს უჭერს.

ლაპარაკობენ: კადეტები ლიპია[illegible] და ვორონკოვი, შრომის ჯგუფიდან—ბულატი, მემარჯვენეთაგან —მარკოვი მეორე, სოც.-დემ.—კუზნეცოვი, რომელსაც, სამგზის გაფრთხილების შემდეგ, თავმჯდომარემ სიტყვა გააწყვეტინა; შემდეგ ლაპარაკობენ ტანცოვი, ტიჩინინი და გულკინი; კამათის შეწყვეტის შემდეგ **გეგეჭკორი** ლაპარიკობს, საგანს არსებითად ეხება, რის გამოც თავჯდომარე, სამგზის გაფრთხილების შემდეგ, სიტყვას აწყვეტინებს.

**მომხსენებელი კოვალევსკი** კომისიის რედაქციას იცავს და ყველა მოკამათეებს პასუხს აძლევს, გარდა მამა სპასკისა. სათათბირო პირველ მუხლს კომისიის რედაქციითა და სპასკის მიერ შეტანილ შესწორებით ღებულობს.

**თავმჯდომარის ადგილს კაპუსტინი იჭერს**: პროექტის **მეორე მუხლი** ამბობს, რომ პირველ დაწყებითი სკოლები საზოგადოებრივი დაწესებულებანია.

**შეჩკოვი და ტანცოვი** თხოულობენ, რადგანაც ეს მუხლი ნათლად ვერ გამოჰხატავს სკოლის დანიშნულებას და სამრევლო სკოლის წინააღმდეგაა მიმართული, იგი მთლად გამოვტოვოთო.

**ვორონკოვი, ბულატი, მამა ტიტოვი, მომხსენებელი კოვალევსკი** ამ მუხლის დატოვებას საჭიროდ სცნობენ, რადგანაც საჭიროა საშუალო და დაბალ სკოლის შუა კავშირი უზრუნველ-ყოფილი იყოსო. მეორე მუხლი თითქმის ხმის უმრავლესობით მიღებულია.

**მესამე მუხლი** ამბობს, რომ პირველ დაწყებითი სკოლა სრულიად სახელმწიფოებრივ ინტერესის შესაფერი უნდა იყოს, ამასთანავე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ადგილობრივ მკვიდრთა სარწმუნოებრივი, ეთნოგრაფიული და ზნე-ჩვეულების განსხვავებანი.

**მინისტრის ამხანაგი გეორგიევსკი** თხოულობს, რომ ეს მუხლი სრულებით გამოსტოვონ, რადგანაც არავითარ ახალ საკანონმდებლო ნორმას არ შეიცავსო.

**მაქსუდოვი** ამ მუხლის მიღებას თხოულობს არა-რუსთა ინტერესების დასაცველად.

**ბელოუსოვი** სოც.-დემოკრატების წინადადებას იცავს, რომ ამ მუხლიდან პირველი ნახევარი მთლად გამოსტოვონ.

**ტიჩინინი** ამბობს, რომ ადგილობრივ პირობებს რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება მიექცეს.

**მომხსენელი** კომისიის რედაქციას ესარჩლება.

მესამე მუხლი შეუცვლელად მიიღეს.

**მეოთხე მუხლი** აღნიშნავს იმ დაწესებულებათა და კერძო პირთ, რომელთაც პირველ-დაწყებით სკოლის დაარსების უფლება აქვთ.

**ბელოუსოვი:** საჭიროა მოხსენებული იყოს, რომ იმ დაწესებულებათაც აქვთ სკოლის გახსნის უფლება, რომელთა წესდებაშიაც სკოლის გახსნის უფლება არაა მოხსენებული.

**ერმოლოვი** თხოულობს, რომ „სტაროობრიადცების" საზოგადოებათაც მიენიჭოს სკოლის გახსნის უფლება.

**კადეტები** თხოულობენ, რომ ასეთი უფლება სექტანტებსა და სხვა სარწმუნოების საზოგადოებათაც მიენიჭოს. მეოთხე მუხლი ერმოლოვის შესწორებითაა მიღებული. კადეტების შესწორება უარჰყვეს.

**ვორონკოვი და როდიჩევი** კადეტთა წინადადებას იცავენ და თხოულობენ, რომ მეოთხე მუხლის შენიშვნაში მოხსენებული იყოს: ერობათა და ქალაქის თვითმმართველობათ დაეკისროს საკმაო სკოლების დაარსება ერობისა და ქალაქების ხარჯით.

**ტიჩინინი**. ამ შესწორებას ემხრობა.

**მომხსენებელი კოვალევსკი და ფონ-ანრეპი** ამტკიცებენ, რომ ამ მუხლს ფინანსიურ კანონებში აქვს ადგილი, რომელსაც მერე განვიხილავთო. სათათბირო მეოთხე მუხლის შენიშვნას უარჰყოფს.

**მეხუთე მუხლი** განმარტავს, რომ პირველ-დაწყებითი სასწავლებელნი განათლების სამინისტროს ექვემდებარება. შრომის ჯგუფის სახელით, **ბულატს** შესწორება შეაქვს: დაწყებითი სკოლები ადგილობრივ თვითმმართველობას ექვემდებარება, ხოლო განათლების სამინისტროს თვალყურ ქვეშ იმყოფებან.

**ფონ ანრეპი** ემხრობა იმ აზრს, რომ სკოლები განათლების სამინისტროს უნდა ექვემდებარებოდესო.

მეხუთე მუხლი შეუცვლელად მიიღეს.

**თავმჯდომარის ადგილს გუჩკოვი იჭერს.** პროექტის მეორე თავს იხილავენ—პირველ დაწყებით სკოლების გახსნის წესს.

**ვორონკოვი** კადეტთა შესწორებას ემხრობა და ამბობს, რომ მეცხრე მუხლში ნათქვამი უნდა იყოს: სკოლის გახსნა ყველა დაწესებულებათა მიერ განცხადების საშუალებით უნდა ხდებოდეს.

**მინისტრის ამხანაგი გეორგიევსკი** განმარტავს, რომ განცხადებითი წესით სარგებლობა მხოლოდ იმავე დაწესებულებათ შეუძლიანთ, რომელთაც უფლება აქვთ ხარჯი თვითონვე გაიწერონ. დანარჩენ შემთხვევაში-კი ნებართვით წესი უნდა დარჩეს.

**მარკოვი მეორე.** განცხადებითი წესის წინააღმდეგია.

**მამა ტიტოვის** აზრით, სკოლის გახსნის უფლება განცხადების წესით უნდა მიენიჭოთ, როგორც საზოგადოებრივ-უფლებრივ კავშირებს ისე კერძო დაწესებულებათა და პიროვნებათ.

**პურიშკევიჩი.** პირწმინდად წინააღმდეგია განცხადებითის წესის შემოღებისა, მით უმეტეს, რომ რუსეთის კერძო თაოსნობის უნარი იმ სიმაღლემდე არ ასულა, როგორც ეს ინგლისსა და გერმანიაშია, სადაც ყოველ პირველ-დაწყებით სკოლაში კურს დამთავრებული უკვე ნაციონალისტიაო. რუსეთში კერძო თაოსნობა ისეთს ნაყოფს ვერ მოიტანს, რადგანაცა—ამბობს ორატორი—რუსეთის ინტელიგენცია—მდაბიო ენით რომ ვთქვათ,—ბოდიშს ვითხოვ ამ სიტყვისათვის—არამზადაა (მარჯვნივ სიცილი, მარცხნივ ძლიერი ხმაურობა და ყვირილი: დაიკარგე! საძაგელი! ხულიგანი, დამთხვეულო!. გიჟი!) თავმჯდომარე დიდხანსა რეკავს ზარს და შემდეგს ორატორი უთმობს სიტყვას. ხმაურობას დასასრული არა აქვს. მარცხნივ ყვირიან: „წესიერება აღადგინეთ იმ არამზადას!" „სათათბიროსთვის ახალი თავმჯდომარე მოგვილოცნია".- „სად გაჰქრა მესამე სათათბიროს ღირსება?" „თავმჯდომარეს პურიშკევიჩმა ეგზამენი დააჭერინა" „აქ ხომ საჩაიე, ან სამიკიტნო არაა"

თავმჯდომარე სცდილობს თავისის ხმით ხმაურობას გადააჭარბოს: თქვენ დანიშნულ დრომდე კრებას ვერ დამახურვინებთ.

მარცხნივ ხმაურობა უფრო ძლიერდება. **ნისელოვიჩს**, რომელიც ტრიბუნაზეა, ოპოზიცია უძახის, რომ ტრიბუნიდან ჩამოვიდეს. ნისელოვიჩი ჩამოსვლას აპირებს. თავმჯდომარე ეკითხება: სიტყვის თქმაზე უარს ამბობთ? ნისელოვიჩი პასუხს ამბობს.

**ხმები:** წესიერების დამრღვევი პასუხის გებაში მიეცით!. სხდომა დახურეთ!

თავმჯდომარე ზარსა რეკავს და აცხადებს: მე ვიცი, რასაც ჩავდივარ! რადგანაც მალე ექვსი საათი შესრულდება, ვაცხადებ, რომ კრებას დავხურავ და უწყებას გამოვაცხადებ.

მარცხნივ ხმაურობა მატულობს მაგიდებზე ირახუნებენ. მემარჯვენენი ტაშს უკრავენ. მარცხნიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმის: „ოქტომბრისტებს რცხვენოდეთ თავის თავმჯდომარის მაგიერ!". „ძირს!." დაგვეკარგე!.. უწყების მოსმენა არა გვსურს".

აუწერელ ხმაურობისა და ბრახუნის დროს, თავმჯდომარე უწყებას კითხულობს. მის ხმას ხმაურობა ჰფარავს. თავმჯდომარე კითხვას ათავებს და ტრიბუნიდან ჩამოდის. მემარჯვენენი ტაშს უკრავენ. ხმაურობა სწყდება.

დარბაზი ცარიელდება.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ნოემბერი.

## საზღვარ-გარედ

**სტამბოლი**. დღის პირველ საათზე სულთანი და მისი მემკვიდრე პარლამენტში მივიდნენ, სადაც მათ მიელოდნენ მინისტრები, დიპლომატიური კორპუსი, დიდებულნი, და გენერალიტეტი. სულთანი თავის ლოჟაში შევიდა, დეპუტატებს თავი დაუკრა და დიდ ვეზირს სეფე სიტყვა წასაკითხად გადასცა. სიტყვის კითხვას დეპუტატები ტაშის ცემით შეხვდნენ. შეიხ-ულ-ისლამის მიერ წაკითხულ ლოცვის შემდეგ, სულთანი გამოესალმა დეპუტატებს, რომელთაც ტაშის ცემით გააცილეს. პალატის პრეზიდენტად ისევ ახმედ-რიზა აირჩიეს, მის თანაშემწედ—ბოსტანი (არაბი) და ხაირი (ოსმალო).

**ვაშინგტონი**. აგვადალფარში (მექსიკაში) ამერიკელმა რევოლვერი დასჭრა ერთი მექსიკელი. ანარდაკოში (ოკლახომის შტატშია) მექსიკელმა ოპეტმა პოლიციის უფროსი მოჰკლა. ორივე ქვეყნის მთავრობა სცდილობს, რომ შემდეგ ასეთი უწესოება აღარ მოხდეს.

**სტამბოლი**. პარლამენტში წარდგენილი ხარჯთ-აღრიცხვით შემოსავალი 28 ნახ. მილიონ გირვანქა სტერლინგითაა განსაზღვრული ხოლო გასავალი—35 მილიონით.

პოლიტიკურ დამნაშავეთა საყოველთაო ამნისტიის კანონ-პროექტი დამზადებულია.

**ლონდონი**. კანიპახდიდან იუწყებიან, რადგანაც მაღაროებიდან ასაფეთქებელ მასალას იტაცებენ, მაღაროების დასაცავად სამხედრო დარაჯები გააძლიერესო.

**ლონდონი**. ნაციონალისტთა პარტიის ბელადმა რიდმონდმა დუბლინში აუარებელ ხალხის წინაშე განაცხადა, რომ ირლანდიის ჰომრულს ხელშემწყო პირობანი გზას აძლევენ და ირლანდია მოკლე ხანში დამოუკიდებელ პარლამენტს ეღირსებაო.

**პეკინი**. ჟურნალი „ბოფანმაო" ეხება ჩინეთის კავშირს ამერიკასთან და გერმანიასთან და ამბობს, რომ ეს კავშირი ჩვენთვის სასარგებლო არ იქნებაო. ჩვენ ჩვენს გაძლიერებას უნდა ვსცდილობდეთ და ცალმხრივ პოლიტიკას უცხოეთის უპირატესობისას უნდა ვერიდნეთო. ამავე აზრს ჩინეთის სხვა გაზეთებიც ემხრობიან.

**პარიზი**. ბრიანმა წყალდიდობასთან მებრძოლ კომისიის წარმომადგენლებთან ითათბირა.

**სტოკჰოლმი**. ნობელის სალიტერატურო პრემია მწერალს პავლე გეიზეს მიუსაჯეს.

**ვენა**. უნგრეთის დელეგაციამ გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა და ერენტალს გულითადი მადლობა განუცხადა სავარეო პოლიტიკის წარმოებისათვის. განყოფილების უფროსმა ესტერგაზიმ მწუხარებით აღნიშნა, რომ მონარქიის დასაცველად მიღებულ ყოველგვარ ზომებს იტალიის საზოგადოებრივი აზრი ისე ეგებება ხოლმე, თითქოს იტალიის წინააღმდეგ იყოს იგინი მიმართულიო. ორატორმა ისურვა, რომ იტალიაში, ისე როგორც ავსტრიაშიაც, მთავრობის მეცადინეობას მხოლოდ ერთ-ერთ სარგებლობა[illegible] ლობით აფასებდნენო ერენტალის სიტყვა ძლიერის ტაშის ცემით დაჯილდოვეს.

**სტამბოლი**. სეფე სიტყვა აღნიშნავს ოსმალეთში ახალ ყველა ეროვნებათა გაერთიანობას, ვინაიდან მონარქის გულს ყველა თანაბრად უყვარს. სიტყვაში ნათქვამია, რომ სამხედრო და ფინანსიურ საქმეში დიდი ნაბიჯი წავდგითო, მომავალ ხარჯთაღრიცხვაში დეფიციტი შევამცირეთო; ბოლოს მიმართავს დეპუტატებს, თავგამოდებით იმოღვაწეთო და აღნიშნავს, რომ ოსმალეთს კარგი განწყობილება აქვს სხვა სახელმწიფოებთან.

## რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი**. უმაღლესს მანიფესტი გზების ინჟინერთა ინსტიტუტს: „წყალობითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხ. და სხ. და სხ., იმპერატორ ალექსანდრე კურთხეულის თვითმპყრობელ სურვილისამებრ, ჩვენს ფართე სამშობლოში მიმოსვლის გასაადვილებლად და მოსაწესრიგებლად, ამ ასის წლის წინად, დაარსებულ იქმნა საგზაო ინჟინერთა კორპუსი და აგრეთვე განსაკუთრებული ინსტიტუტი, რომლის დანიშნულებაც საინჟინერო საქმეში ნიჭიერ მოღვაწეთა მომზადება იყო. ასის წლის განმავლობაში ამ ინსტიტუტის მოწაფეთა შრომით ჩვენ სახელმწიფოში ბევრი რკინის გზის ლიანდაგი დაეგო, მდინარეებზე მიმოსვლა მოწესრიგდა, გზატკეცილები გაკეთდა, რამაც შორეული განაპირა ქვეყნები დაგვიახლოვა, სამშობლოს აღებ-მიცემობასა და მრეწველობას ხელი შეუწყო, ხალხის კეთილდღეობა წინ წასწია და სახელმწიფოს სამხედრო ძლიერება განამტკიცა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის საინჟინერო საქმე სხვა სახელმწიფოებთან თანაბრად მიდის წინ და რუსეთის ინჟინრებმა უცხოელ ამხანაგების თვალში საპატიო ადგილი დაიჭირეს.

ამ ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს, ჩვენს მოწყალე ყურადღებას ვაქცევთ ინსტიტუტის გულმოდგინესა და ნაყოფიერს მოღვაწეობას და ღრმადა გვწამს, რომ

# „გული გულს იცნობს"

ბუნების ძილის უკანასკნელი წუთებია: გაიშრიალებს ფოთოლი და მიჩუმდება; წამოიძახებს ჩიტი და მიიყუჩებს; ცის კამარაში მარტოდ შთენილი ღრუბლის ნაჭერი შეფერადდება და ისევ ჩაიბურება.

შორეულს მყინვარს, ფიფქი-თოვლით დაფარულს, ამბორი სტყორცნა მზისა სხივებმა. ცივი მთის თხემი ათრთოლდა, აკეკლუცდა. აიშალა ნისლი. ახმაურდა ქვეყანა. ტყეს პირისაბანი ცვარი ნელ-ნელა წვეთ-წვეთად გადმოაყარა მიწაზე.

ამ დილის ნისლში გამოირკვა ფეხ-აკრეფით მომავალი ორი მონადირე.

მონადირეებმა ვერც-კი მოასწრეს ჩასაფრება, რომ ნაპრალიდან გამოვიდა ირემი.

მშვენიერი ცხოველი დინჯის ნაბიჯით თავ-აღერილი მიუახლოვდა ერთ მონადირეს და შეჩერდა. დიდხანს იდგნენ ერთმანეთის წინ, თითქოს ზომავენ ერთმანეთისაო.

— ესროლე! ილია, ესროლე!— ველარ მოითმინა მეორე მონადირემ.

მაგრამ ირემმა ერთი მოიხედა უკან, მოიკუმშა, ისკუპა და გაჰქრა.

— შენც მონადირეს უწოდებ შენს თავს?!—წყრომით მივარდა მეგობარი მონადირეს. ცხვირის წინ ირემი გაგიჩერდა, და შენ კი ხელიდან გაუშვი?!

— რა უნდა მექნა?! მოდი, გულს უთხარ, კარგს სანახავზე ნუ ხართქო ხარბი!

ირემი ისეთის ნდობით მოვიდა ჩემთან, ისრებივით წვრილ ფეხებზე ისე მსუბუქად იდგა, ისე კეკლუცად მოიღერა გახვეწილი კისერი და გადიგდო ქორბუდიანი რქები ზურგზე, ისე ძლიერად თრთოდა სიფიცხით ან სიყვარულით—შიშით კი არა!—ისე ჰშვენოდა მსოფლიოს ნაზი ქმნილება, რომ ამ ლაღის ბუნებას ვერ წავართმევი ამაყი შვილი. ჟუჟუნა თვალები შიგ გულში გამიყარა, თითქოს იქ კი თხოულობდა ვნებათაღელვის საიდუმლოებას. ასე მხოლოდ უმანკო ქალწულები გამოიყურებიან, როცა გარს ეცვათ თხელი ქსელი ტრფობისა.

— შენ რომ არ დაგეფრთხო, მოვეხვეოდი და ამბორს გავუგზავნიდი ყვარლის მთებს, მთელს ამ მიდამოს, ღვთისგან დალოცვილს.

—

ღიმს მოკლებული შემოდგომის მზე უსიცოცხლოდ დაჰყურებს დაჭკნარს ფოთლებს მწუხარე ტყისას. აღარ სჭყივის მერცხალი. გადამხმარა მდელო. თეთრი, საპატარძლო მოსასხამი სუდარასავით გადაჰფენია მყინვარს.

ირემს სწორედ იქ ჩაუკეცია, სადაც ერთხელ უცხო მონადირემ ყელზე-მოსახვევად გაიწია მისკენ. ჰფიქრობს წარსულ დღეთ აღტაცებაზე...

თოფის ხმა... კივილი სწვდება ოდნავ ნადირის სმენას.

ირემი წამოვარდა. ჩივნარს გადაევლო. აღმართში თავს არ იზოგავს. მდინარეს მკერდით აპობს შეუპოვრად. კლდე-ღრეზე გადაჰხტის. რაღაც მწუხარება უმატებს ძალას.

გზას მიაღწია... შარა-გზას. კაცთა სიმხეცეს დაურიდებლად გაჰყვა გზატკეცილს და იქ გაჩერდა, სადაც ცხედარსა სძინავს.

ირემი ჭირისუფლად მივიდა, დაიჩოქა; დიდხანს დააშტერა ჟუჟუნა თვალები; ცრემლები დააფრქვია; კელაპტარივით ჩამოქნილი რქები ზე-აღაპყრო, როგორც ხელთუქმნელი ქანდაკება, იწვევდა იგი მთელს ბუნებას ახლად მოკლულის, უცხო მონადირის საგლოვად.

ნ. ლორთქიფანიძე.

# წითელი და თეთრი ვარდი

ინგილოური ლეგენდა.

მეტად თვალწარმტაცს ადგილს მდებარეობს ქურმუხის წმინდა გიორგის ეკკლესია. იმ ბუმბერაზ პიტალო კლდიდგან, რომლის კალთასაც შეჰფარებია მთელის საინგილოს წმიდათა-წმიდა სალოცავი, ხელის გულივით მისჩანს მთელის საინგილოსა და შექის მაზრის მიდამოები. ვერსად ვერ წახვალთ, ვერსად ვერ დაიმალებით ისეთს ადგილს, სადაც კი ეს თეთრად მოკაშკაშე სიწმინდე თვალწინ არ გიდგეთ და თავისს სპეტაკ გაბრწყინვებულ მწვერვალით თავს არ დაგცქეროდეთ. უფრო საყვარელი გადასახედია ეკკლესიის წინ მდებარე უზარმაზარ ისტორიულ კლდიდგან, თქვენ წინ სძევს საინგილოს კეკლუცი მთები, რომელსაც თან მისდევს მთელის თვისი სიტურფე-სიდიადით ბარი, რომლის შორისაც ნაზად გველივით მიიზლაზნება მზის სხივებისაგან ოქროს ფრად გაბრწყინვებული საამური ალაზანი და მის იქით თვალუწვდენელი კიდე შირაქისა, ალიაზლოსი და სხვათა.

ტურფაა, თვალწარმტაცი და მომხიბლავი ადგილ-მდებარეობა წმინდა გიორგისა, მაგრამ არა ნაკლებ კეკლუცი იყო ასული მისის მოძღვრის ხუციშვილისა—მზეთუნახავი ნინო. თვით უზენაესი სიმშვენიერე და სინარნარე, სიკეკლუცე იყო მასში აღმოცენებული. ბუნებასა და ღვთაებას მასში ჩაექსოვათ უმწვერვალესი სიმშვენიერე სამყაროსი. შორს იყო გავარდნილი მოძღვრის ქალის სილამაზის სახელი, მასზედ ოცნებობდნენ და ოხრავდნენ მრავალნი წარჩინებულნი, მაგრამ ყველაზედ უფრო მეტად თვალი ეჭირა მასზედ შექის ხანს, რომელიც კაკზედ კაცს უგზავნიდა მოძღვარს ქალის სათხოვრად.

დიდი საკითხი ჰქონდა გადასაწყვეტი მოძღვარს. ქრისტიანობის წარმომადგენელსა და დამცველს, როგორ შეეძლო ქალიშვილი მუსულმანისათვის მოეთხოვებინა, მაშინ ხომ შეჰბღალავდა სარწმუნოებას, ღვთიერს კანონს, ერთ მორწმუნე ხალხს? მწვავე საკითხი მთელის თავისი სიგრძე სიგანით მოსვენებას არ აძლევდა მოხუცს მღვდელს და ასასივით თავს დასტრიალებდა. მწარე ფიქრს მისცემოდა და მჭმუნვარებას შეეპყრო საბრალო მოხუცი. რა ექნა? არ მიეცა ქალიშვილი, და ხომ ნაცარმტუტას აადენდა ხანი და ქალს ძალით წაიყვანდა. ბოლოს დიდის ბჭობისა და ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა თანხმობა განეცხადებინა ხანისთვის ქალიშვილის მითხოვებაზედ იმ პირობით, თუ ხანი ქურუმუხის წმინდა გიორგიზედ არხით წყალს გაიყვანდა.

ქურუმუხის ციცაბ ფრიალო კლდეზედ, რომელიც კაცისათვისაც კი მიუდგომელია, წყლის გაყვანა შეუძლებელი რამ იყო. სახრად ამართული მთის კალთიდან მხოლოდ შორს მოსჩანს მდინარე ქურუმუხის დაუდეგარი ტალღები, მათსა და წმინდა გიორგის ეკკლესიის შუა იმოდენა უფსკრულია, იმოდენა სიმაღლეც, რომ არავის აზრად არ მოუვა და არც მოსვლია წმინდა გიორგის ეკლესიასთან მდინარე ქურმუხიდან წყლის აყვანა. მოხუცს მოძღვარსაც ამის იმედი ჰქონდა, რომ ხანი ვერ შესძლებდა პირობის შესრულებას და მით თათრის ხელიდანაც იხსნიდა თავისს ერთად-ერთ ქალს.

ხანი არ შედრკა, იმდენად ძლიერი იყო მასში ქალისადმი სიყვარული და ლტოლვილება, იმდენად დამთვრალი და გაბრუებული იყო მისის ეშხით, რომ ვით ანცი პეპელა არ შეუშინდება ხოლმე ჭრაქის სინათლეს ბნელს ღამეში და ზედ შეიწვება, აგრეთვე ხანიც არაფერს დაბრკოლებასა და ფათერაკს არ შეუშინდებოდა, ოღონდ კი მიზნისთვის მიეღწია. ხანმა ერთს წუთსაც არ დააყოვნა და მხნედ შეუდგა მუშაობას. ხალხი იცინოდა, სიცილ-ხითხითს აყრიდა ხანის გიჟურ ოცნებას და გაიძახოდა: „განა შესაძლებელია, წყალი უკანვე გაბრუნდეს, განა შეხაძლებელია წყალი იმავე მთაზედ ავიდეს საიდგანაც ჩამოსულა. გიჟური ოცნებაა, ტყუილი თავგამოდებაა, ვერც წყალს გაიყვანს და ვერც ხუცის ქალიშვილის ღირსს ეღირსებაო.

ხანი თავისას არ იშლიდა, მედგრად, ჩაუფერხებლად არა ჩვეულებრივის მხნეობით და მუყაითობით გაჰყავდა არხი. შრომა-ჯაფას არაფრად იმჩნევდა და ტკბილ მომავლის ოცნებაში დღენი შეუმჩნევლად მიდიოდნენ. მიდიოდნენ დღენი და არხიც დღითი-დღე წინ იწევდა, პიტალო კლდე მთისა წერაქვს ვეღარ უძლებდა, მთა კიდევ ბანს აძლევდა და გუგუნი გაჰქონდა. იმ მთის ფერდობიდან, საიდგანაც წყალი აჰყავდა ხანს, მშვენიერი გადასახადი იყო, გიჟმაჟ ქურმუხის მღვრიე ტალღებს იქით მოკენჭილს სანაპიროს მისდევდა სოფელი, სადაც ხანის მიჯნური ტურფა კეკლუცი არსება სცხოვრობდა. რამდენჯერაც სოფელს გადაჰხედავდა ხანი, იმდენად უფრო მეტი ძალა და ღონე ემატებოდა, იმდენად უფრო მედგრად და იმედიანად მოიმარჯვებდა წერაქვს და გზას იკაფავდა.

ხალხი გაოცებით შესცქეროდა ამ ბუმბერაზულ საქმის განმახორციელებელს, ჰკვირობდა მის ვაჟკაცობას და მხნეობას. ყველას უხაროდა გულში და გაიძახოდა: „ღმერთმა შეძლება მისცეს და სანაქებოდ დაამთავრებინოს სამადლო და საშვილიშვილო საქმეო". ხალხი ეხლა აღარ დასცინოდა, აღარა ოხუნჯობდა, პირიქით მადლით იხსენიებდა და ქებას ასხამდა.

არხის დასასრულიც შორს აღარ იყო. უხაროდა ხალხს, ზეცას ეწე-

მომავალშიაც მოსწავლეებს შეაჩვევთ შრომის მოყვარეობასა და მეცნიერების უმაღლეს პატივის ცემას, შთააგონებთ მოვალეობის გრძნობასა და შეაყვარებთ თავგანწირულ სამსახურს მეფისა და მამულისათვის. **ნიკოლოზი.**

ვოლფსგარტენი. 20 ოქტომბერი, 1910 წ.

**კალუგა.** ტოლსტოი ექიმთან ერთად ღამის მატარებლით ოპტინის უდაბნოში ჩამოვიდა. დილით იგი ეტლით შამორდინის მონასტერში გაემგზავრა დის სანახავად და დაჰპირდა, რომ ოპტინის უდაბნოში ისევ დაბრუნდება.

**სარატოვი.** პალატამ განიხილა სარატოვის მაზრაში 1908 წელს შექმნილ გლეხთა რევოლიუციონურ კავშირის საქმე. პასუხის გებაში 36 კაცია მიცემული, მათ შორის ერთბის ექიმი, 7 მასწავლებელი ქალი და კაცი. 12 ყოველ ღირსებათა აყრა და სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს. დანარჩენები გაამართლეს.

**სიმფეროპოლი.** მელიტოპოლის მაზრაში, მიმავალ ფოსტას დაეცნენ და ყუმბარა ისროლეს. ორი ფოსტის მოხელე და დარაჯი მოჰკლეს, მეეტლე დაიჭრა. გაიტაცეს 30 ათასი მანეთი.

**პეტერბურგი.** სასახლის მინისტრის დეპეშა მაინის-ფრანკფურტიდან: რუსეთის იმპერატორი, დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული და მემკვიდრე მათი ალექსი ნიკოლოზის ძე, უავგუსტოესის ქალებითურთ 1 ნოემბერს ვოლფსგარტენის ციხე-დარბაზიდან რუსეთისაკენ გაემართნენ.

**კიევი.** ღვაკშმანის ბამბის ქარხანა დაიწვა. ზარალი დიდია.

**პეტერბურგი,** გზათა სამინისტროს საინჟინერო ინსტიტუტმა ასის წლის არსებობა იდღესასწაულა. ხელმწიფე იმპერატორმა ამის გამო 35 ათასი მანეთი შესწირა, რომლის სარგებელიც ხელმოკლე მოსწავლეთა სწავლას მოხმარდება.

**კალუგა.** ტოლსტოიმ შამორდინის მონასტერში ექიმთან ერთად ინახულა თავისი ქალი ალექსანდრა ლევის ასული და გუშინ კოზელისაკენ გაემართა. როგორც იუწყებიან, გუშინვე კოზელსკიდან ბელევისაკენ გამგზავრებულა.

**პეტერბურგი.** მიწად-მოქმედების მთავარმა გამგეობამ მინისტრთა საბჭოში შუამდგომლობა აღძრა, რომ 1911 წელს ქ. ომსკში სრულიად რუსეთის სამეურნეო გამოფენა გამართოს, რასაც მთავრობა ფულით დაეხმარება.

**ირკუტსკი.** ყაზანის ტაძარი გაძარცვეს, ძვირფასის ქვებითა და ოქროთი მოჭედილი ყაზანის ღვთის მშობლის ხატი და სხვა საეკლესიო ნივთები წაიღეს. გაძარცვნილი ხატი მდ. უშაკოვის ნაპირად იპოვნეს.

**ხარკოვი.** საოლქო სასამართლომ განიხილა 1905 წელს იარაღის ორ მაღაზიის გაძარცვის საქმე და ცხრა მუშა გაამართლა.

**ტულა.** ტოლსტოი ექიმის მაკოვეცკისა და თავისის ქალის თანხლებით რიაზან-ურალის გზით მიდიოდა, გზაში ავად გახდა და სადგურ ოსტაპოვოში ჩამოხტა. ავადმყოფი სადგურის შენობაში სწევს. სიცხე, 40 გრადუსი აქვს.

# ახალი ამბები

## ტფილისი

**მოსწავლისგან მასწავლებლის მოკვლა.** გუშინ, 2 ნოემბერს, დილის $11^1/_2$ საათზე, ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიაში საზარელი ამბავი დატრიალდა. რუსულის ენის მასწავლებელი სერგეი სვიმონის ძე ტროიცკი ჩვეულებრივ კლასში მიდიოდა, მანამ მასწავლებელი კლასში შევიდოდა, მას წაეწია ამავე გიმნაზიის მეხუთე კლასის მოსწავლე შალვა თავდგირიძე, მჯუნდირიდან ხანჯალი ამოიძრო და რამდენსამე ადგილას სასიკვდილოდ დასჭრა მასწავლებელი. მთელი სასწავლებელი უცებ ფეხზე დადგა, გამოიწვიეს ექიმი, მაგრამ გვიან იყო: მასწავლებელი ჩქარა გარდაიცვალა. მოსწავლე მკვლელობის ჩადენის შემდეგ გიმნაზიაშივე დარჩა და არც უცდია გაქცევა. ჩქარა მოსულმა პოლიციამ იგი შეიპყრო და პოლიციის სამმართველოში წაიყვანა. მკვლელობის ჩადენის მიზეზად პოლიციაში არეულად მხოლოდ დაასახელა: „მე ის სიკვდილს მიპირებდა... კლასში დამანარჩუნა!“ მკვლელი 17 წლისაა. გუშინ მკვლელობის შემდეგ გიმნაზიაში იყვნენ ტფ. გუბერნატორი და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები. გიმნაზიაში სწავლა შეწყდა.

**ტფ. ქალაქ. საბჭო.** 1 ნოემბერს ქალაქის საბჭომ დაადგინა, 1) მიეცეს ყოფილ პოლიციელს კომისაროვს 250 მან. შემწეობა ქალაქის თანხიდან 2) შემუშავებულ იქმნას წესებმისა, თუ როდის ან რამდენს ნაღდად უნდა გადიხადოს ქალაქმა პოლიციის შესანახი გადასახადი 256 მან. 72 კაპ., 3) გადადებულ იქმნას 100 მან. პეტერბურგში ძრის ასაშენებლად რომანოვებ გვარის 300 წლის მეფობის აღსანიშნავად და 4) გადადებულ იქმნას 7,937 მან. 25 კაპ. ავჭალის ქუჩის მოსაკირწყლად და წყალ-დიდობის წინაამდეგ ღონისძიებათა მისაღებად.

**ტუსაღების გაქცევა.** 1 ნოემბერს, ღამით, დუშეთის ციხიდან ექვსი ტუსაღი გაქცეულა. მათ გაუკეთებიათ თხრილი ციხის ადმინისტრაციის შეუმჩნევლად და ხსენებულს ღამეს ისე ფარულად გაპარულან, რომ ვერავის დაუნახავს. ამბობენ, გაქცეულნი ამ ჟამად ფასანაურის მთებში იმალებიანო.

**ქმაროვის გატაცების გამო.** ამ დღეებში გორის მაზრის სოფელს ბეკამში შეუპყრიათ გლეხნი ლონდაძე და ლამბაშიძე. ამბობენ, მათს დაპატიმრებას კავშირი აქვს გიმნაზიელ ქმაროვის გატაცების საქმესთანაო.

**ჯარიმები.** ტფ. გენერალ-გუბერნატორმა დააჯარიმა 1) ივანე თუშმალაშვილი 500 მანეთით სხვის პასპორტით ცხოვრებისათვის; თუ ჯარიმას არ გადაიხდის 3 თვით დააპატიმრებენ და 2) ეგიაზარ ბაღდასარიანცი 1.000 მან, ნებ ბაუადრთეველად იარაღის შენახვისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, 3 თვით დააპატიმრებენ.

**თავის მოკვლის გაზრახვა.** 1 ნოემბერს, ცდილის 7 საათზე, თავის მოკვლის განზრახვით მტკვარში გადავარდა ელისაბედ ტერ-ხაჩატუროვისა, მაგრამ ჩქარა შეამჩნიეს და დაღრჩობას გადაარჩინეს.

**ჟურნალი „განათლება“.** რედაქციამ მიიღო სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალის „განათლება“ს მორიგი (19) ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია წერილები: ლ. ბოცვაძისა, ნ. ლორთქიფანიძისა, ბ. ლამბაშიძისა, დ. ო-ძისა, ლასისა. ნ. ნაკაშიძისა, ლ. ბ-ძისა, გსი-სა, ალ. ხახანაშვილისა, ს. ცომაიასი, აქილესისა, ლ. გეგეჭკორისა და მირზასი და ლექსები: აკაკისა, დ. თომაშვილისა და დ. თურდოსპირელისა.

**სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“.** გამოვიდა ჟურნალ მოსავლის მე-19 და 20 ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია საეურნეო წერილები: ვ. იოსელიანისა, ვ. გულბაათშვილისა, ვ. ახოშვილისა, ვ. ქათამაძისა, ვ. რცხილაძისა და ს. კახელისა.

**ჟურნალი ნაკადული.** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ნაკადული“ს მეათე ნომერი (მოზრდილთათვის). ჟურნალი ჩვეულებრივ საინტერესოდ არის შედგენილი.

შინაარსი შემდეგია: I— მოშკდი და თვთავი,—ლექსი, ბაჩანასი. II — მამიდა ბარბარე,—უცნობისა. III — ტოუერის მზე,— (თარგმანი), ან. ახალშენიშვილისა. IV — სიზმარა,— ხალხური ზღაპარი ლექსად, (დასასრული) ი. გრიშაშვილისა. V — დიდების მაძიებელი,—(თარგმანი) ელდო შანშიასისა. VI — ცხოვრება და მოღვაწეობა გრიგოლ ორბელიანისა,—ა. ხახანაშვილისა. VII—სინათლე და მისი მნიშვნელობა, —ი. მოსეშვილისა. VIII დედა-მიწის აღსარება, —ქვანახშირის ხანა დედა-მიწის არსებობაში დ. ბოდგაძისა. IX—ნარევი:—ა) შარადა, გ. დარაშვილისა,—ბ) ანდაზა, ჩაწერილი სოფ. ერწოში, დ. ნასუცრიშვილისმიერ,—რებუსი და აღსნა.

31 ოქტომბერს ზოლიციამ ტფილისში შეიპყრო 14 უპასპორტო.

1 ნოემბერს, ღამით, ვიღაც უცნობი 6.000 მანეთის აბრეშუმეულობა გაუტანიათ აფრიკიანის მაღაზიიდან. მაღაზია არის იერუსალიმის ქუჩაზე. უცნობთ დიდი თხრილი გაუკეთებიათ მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან და ღამით წაუღიათ საქონელი, რომელიც, როგორც ეტყობა, ნავებით გადაუზიდნიათ მტკვრის მეორე ნაპირას. ეჭვით რამდენიმე პირი დაუპატიმრეს.

1 ნოემბერს პეტერბურგის ქუჩაზე იპოვეს ჩვრებში გახვეული ბავშვი მამრობითი სქესისა, დაახლოვებით 10 დღისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

---

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელს ნომერში იყო დაბეჭდილი ჩემი წერილი „კახეთის რკინის გზა“. იქ შეცდომით არის ერთგან მოხსენებული ასე: „ამ გვარად, კახეთის რკინის გზის საზოგადოების დამფუძნებელთ უნდა შეიტანონ ხაზინაში, არა ფულად, არამედ აქციებად, ცხრაასი ათასი მანეთი მერმის 20 ოქტომბრამდე.“ უნდა იყოს: „დამფუძნებელთ უნდა შეიტანონ ხაზინაში“ ფულად და არა აქციებად ცხრაასი ათასი მანეთი და სხვა.. **თ. დიმ. ჩოლოყაშვილი.**

# სოფლად

## I

„ღარიბსა კაცსა ვინ მისცემს
აღების ღამეს ღვინოსა,
მჭადი სჭამოს და წყალი სვას,
დაწვეს და დაიძინოსა“.
ხალხური თქმულება.

სრული ჭეშმარიტებაა ეს ხალხური თქმულება. სიღარიბეში და სილატაკეშია ჩაფლული სოფელი და ვინც სოფლის ცხოვრებას უკვირდება, ბევრს უკუღმართობას ამოიკითხავს მის სიღრმეში,—სოფელი განიცდის ზნეობრივ და ეკონომიურ კრიზისს. საშინელება რამ ხდება და, როგორ დააღწევს სოფელი თავს ამ ჯოჯოხეთურ ცხოვრებას, ძნელი გამოსაცნობია.

გამათახსირებელ არსებულ პირობებისა გამო, დღეს სოფელი მონადაა გადაქცეული.

მთავრობის მამასახლისებმა შესამჩნევი კვალი დააჩნიეს სოფელს; გაივლის დრო,—მაინც მათი კვალი ამოუშლელი იქნება.

ამ გაზაფხულზედ ერთ სოფელში შევესწარი, გადასახადს ჰკრეფდნენ; ერთ გლეხს შვიდი აბაზი აკლდა გადასახადს, რომ ვერსად გახდა ღონეს, მან ორი დღის ყანა დაუგირავა სხვას შვიდ აბაზში.

მეორე გლეხმა ხუთ თუმნიანი ხარი გაჰყიდა 11 მანეთად, რათა კარზე მომდგარი გადასახადი მოეშორებინა.

ამოდენა გადასახადებმა სოფელს არაფერი გამოულია და არც გასაკვირველია მათი ასეთი სილატაკე.

ამ ზაფხულს სოფ. ღოღეთის მინდორზე გავიარე და საშინელი სურათი ვნახე: ტრიალი მინდორია, სიმინდის თოხნაა. ჩამოცხა. სიმინდში კაცი დგას წაკუზული, ნახევრად შიშველი, ლურჯი ამერიკის დაფხრეწილი ნახევარ-შარვლის ტოტი ეცვა, ტანი უჩანდა; დიდის ხნის ხმარებით პერანგს სახელოები და კალთა აღარ ჰქონდა, ფეხშიშველა, უპაჭროდ და თავშიშველა, უთავბოლოდ ამ პაპანაქებაში სიმინდსა სთოხნიდა.

ამ ტრიალ მინდორში მის გარდა არავინ სჩანდა.

შევჩერდი და გაოცებული ვუმზერდი მას. მისი მთელი არსება წარმოადგენდა მთელის ქვეყნის ვარამს.

შემომხედა ნაღვლიანად, თითქოს მეკითხებოდა: რას გაჩერდი, შენს გზაზედ გაიარეო? და თან ტიტველა ტანს იფარავდა.

ვათვალიერებდი სიმინდში მის სხვარამ ტანსაცმელს, მაგრამ თვალი ვერსად მოვკარ.

— ძმობილო!—წამძლია ცნობის მოყვარეობამ,—ნუ თუ მაგაზე მეტი ტანსაცმელი არა გაქვს?

— აი, აგერ, ჩემი ავლა-დიდება! —მიმითითა ერთ დაგლეჯილ-დაკონკილ სიწის ფერ ფარაჯაზე და ისევ ტანს იმალავდა, თან მისი თვალები საყვედურს მიცხადებდნენ. შემრცხვა ჩემის ესე ანაზდეულად მზერისა და კითხვისა.

გავშორდი.

და თან ფიქრები მიტრიალებდა. რა უშველის ამათ? ვინ იხსნის მათ ასეთ სიღარიბისაგან?—ვეკითხებოდი ჩემს თავს.

## II

სოფელსა და მღვდლებს შორის კარგი განწყობილება აღარაა. მათ შორის მხოლოდ ანგარიშებია. სოფელს მხოლოდ უმთავრეს საეკლესიო წესებისათვის სჭირდება მღვდელი, ე. ი., ჯვრის წერისა, მიცვალებულისა და ნათლობისათვის, სხვაფრივ მღვდელთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ბევრს მღვდელს თავის სამრევლოდან კარგი შემოსავალი აქვს. ეკლესიების—ე. ი., სანთლის ფული, თუ შესაწირავი, ან თუ დღეობებიდან არის შემოსავალი, მღვდლები ეპატრონებიან, ეკკლესიის გასაუმჯობესებლად-კი არას იღებენ.

ჭირშიაც და ლხინშიაც არას იკლებენ, კარგად სარგებლობენ.

აი, ავიღოთ სავალნის ტეზერის სამრევლო:

იგი შესდგება 700 კომლის ქრევლისაგან, ოთხი ეკკლესიაა: წმ. ელიასი, ხახულის ღვთისმშობლისა, ბეკამის წმ. გიორგისა და კვართისის წმ. გიორგისა.

მღვდლის სასარგებლოდ თითო კომლი იხდის დრამის მაგიერ—2 მანეთს, ამას გარდა მას ხაზინიდანაც ეძლევა წლიურად 300 მან.

ნათლიღებაზედ თითო კომლი გლეხი სახლის გასანათლად აძლევს 20—50 კაპ. აზნაურიშვილები—1 მ.

ამდენსავე აღდგომა დღესაც იხდიან. მიცვალებულის წინ გასაძღოლად იღებს 3 მან , დავითნისას—1 მან., ბაირაღებისაც—1 მან. ორმოცისას—2 მ. 50 კ. წლის წირვისაც —10 მან. ნათლობისა—1 მან. და ჯვრის საწერს—15 მან.

ყველა მრევლმა იცის ეს ფასები და ამას იშვიათად თუ ვისმე დაუკლებს, და ვინც ამ ფასებს არ შეაძლევს, არც ეღირსება მის ლოცვა-კურთხევას.

მოწმობებისა, მეტრიკებისაც თითო მანეთს იღებს.

სულ რომ ერთად შევკრათ, სავალნის ტეზერის მღვდელს ექნება წლიურად შემოსავალი 2800 მ. აქედან მედავითნესი და მნათები მხოლოდ მეოთხედია.

ამას გარდა კვართისის წმ. გიორგის ეკლესია, სადაც ამაღლება იციან, საკუთრივ მღვდელს ც—ს ეკუთვნის.

მლოცველები ბევრი მისდის ამ ეკკლესიას, მარტო ამაღლება დღეს შემოსავალი აქვს ფულად—200 მ. ზედაშე 20 ფუთი ღვინო (400 ბოთლი) ცხვარი, ქათამი, პური, ბეჭი, თავ-ფეხი მიუვა ამ დღეს აყარებელი; ახლა სწორი ამაღლებისა და მთელ წლის განმავლობაში მლოცველი არ აკლდება.

მთელ ამ შემოსავალს საკუთრივ მღვ. ც—ი იღებს, თუმცა თვალის ასახვევად მის ნათესავებს აქვთ აღებული, ბული იჯარით ამ ეკკლესიის შემოსავალი მცირე ფასად (მეასედიც ... იქნება), თითონ მღვდელი ... რის აღებაში არა სჩნდება.

ამ დღეობის გარდა აქ იციან ელიაობა, ღვთის-შობლობა და ამ დღეებშიაც, რასაკვირველია, შემოსავალი აქვს.

ვიმეორებ, ბევრს ეკკლესიას აქვს კარგი შემოსავალი, მაგრამ მღვდლები ეპატრონებიან და ეკლესიებს კი არ აუმჯობესებენ, რომელიც ასე ღარიბადაა საზოგადოდ ჩვენში.

—

სამაგიეროდ სოფ. ავლევის ეკლესია, რომელსაც არავითარი შემოსავალი არა აქვს, გამშვენიერა თავის ხარჯით და თავის ზედამხედველობით თ-დ კ. მ. ამირეჯიბმა.

კანკელი, აღსავლის კარები საკუთრივ თავ. კ. მ. ამირეჯიბის ნამუშევარია, კოხტა და შნოიანია; მთელი სურათები ახლად დაიხატა, და დაუჯდა 100 მან.

იატაკი ეკლესიისა შავისა და თეთრის ოთხ-კუთხიან ტონტის აგურითაა დაგებული და ცემენტით დაკავშირებული; ძველი საფლავის ქვები, რომელიც ეყარა შიგ ეკლესიაში, გარედ გაიტანინა თავ. კ. მ. ამირეჯიბმა, მათ ადგილას მარმარილოს ფიცრები დადო და თავისივე ხელით შესაფერი წარწერა მისცა.

საზოგადოდ ქართველებმა არვიცით ჩვენის მიცვალებულებისა და საფლავების პატივისცემა, თითქმის ბევრს ქვა არც კი ადევს და 10—20 წლის განმავლობაში საფლავი იკარგება ხოლმე. და ამ შემთხვევაში დიდად უნდა ვუმადლოდეთ თავ. კ. მ. ამირეჯიბს.

ამასთანავე ეკლესიის ეზოს ახლად მესერი შემოარტყა, ოღრო-ჩოღრო ეზო გადაასწორებინა.

ერთობ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ეს ეკლესია.

24-ს ამ თვეს კურთხევა იყო ამ ეკლესიისა, კურთხევას დაესწრო არქიმანდრიტი ოქროპირიძე, ადგილობრივი სამღვდელოება,— ხალხიც ბლომად შეგროვდა, აგრეთვე აქაურ სკოლის მოწაფეებიც მწკრივად იდგნენ ეკლესიის კარებთან.

კურთხევის შემდეგ სამრევლო სკოლაში არხიმანდრიტმა ოქროპირიძემ სამღვდელოების თანადასწრებით და გარეშე მაყურებლებით მოწაფეები გამოსცადა.

მით უფრო გასახარელია ამისთანა საქმე, რომ მთელი ზემო ქართლიც შემოიაროთ, ეკლესიაში გული არ მიგივათ, ყველგან სიღარიბე და უსუფთაობა—დაუდევრობა ფამოსჭვივის.

აი, თიღვის ტაძარი, ინგრევა უპატრონობისა გამო. მღვ. ათაევი დაჰპატრონებია ამ ოდესღაც დიდებულს ტაძარს, უსუფთაოდ კია! წარმოიდგინეთ, ბარძიმ-ფეშხუმში წმინდა საიდუმლო დაობებული და აყროლებული ჰქონდა, რის გამოც ათაევი დროებით მღვდელ-მოქმედებისაგან გადაყენებულ იქმნა.

## III

ამას წინად „დროების“ ერთ-ერთ ნომერში, იყო მოთავსებული წერილი: „სურამი ქალაქად,“ მის ავტორს გასაოცრად მიაჩნია, რომ საქმე სალაპარაკოდ გახდარა, სამაზრო ქალაქი ვერ ამოურჩევიათ და ქალაქად სურამს ამჯობინებს.

რამდენად მართალია მისი ეს შენიშვნა, გამოვარკვიოთ.

უმაღლეს მთავრობას გადაწყვეტილი აქვს გორის მაზრისაგან გამოჰყოს ნაწილი და მეორე მაზრად გადააკეთოს. ჯერ დანამდვილებით საზღვარი გადაწყვეტილი არ არის, თუმცა, ჩემის მოსაზრებით, შემდეგი საზღვარი უნდა სჯობდეს: ტფილისისა და ქუთაისის საზღვრიდან, სადაც დიხის მთებია, რუს-ავის მწვერვალიდან დაიწყება ახალის მაზრის საზღვარი და წავა სამხრეთისკენ სერი—სერ, გაივლის ნაქერალას, რუსთავს, ძარს, ტილიანას ხეფას გაღმა აღმოსავლეთისკენ გაეკვრის ქედს, დოდეთ შეუვლის და წუნარის მამულზე გაივლის, აქედან ისევ ქედზედ შედგება, ავნევის

---

ოდა ხანი. არა ხარობდა და მწარე ფიქრს მისცემოდა მხოლოდ მოხუცი მოძღვარი ეკლესიისა. იმას ეგონა, რომ ხანი ვერას გზით ვერ გაიყვანს არხსით და იმიტომ დასთანხმდა ქალის მითხოვებაზედ. მაგრამ ხანი აღარ ხუმრობდა, დასთრგუნა ყოველივე დაბრკოლება და სანაქებოდ ასრულებდა დევ-გმირულს საქმეს, რაზედაც დღემდის მხოლოდ ოცნებობდნენ ინგილონი. სევდით მოცულს, მთლად ნაღვლად ქცეულს მღვდელს მოსვენება და ძილი არა ჰქონდა, მწარე ფიქრს მოეცვა და გაეგმირა მთელი მისი არსება, ლანდს, აჩრდილს-და ადამიანისას მიაგავდა ეხლა იგი. ფიქრით დაღლილმა და სასოწარკვეთილმა არ იცოდა რა ღონესთვის მიემართნა, რომ ამ დროს მოვიდა მოძღვართან ვინმე მოხუცი კაცი. მოძღვარმა მაშინვე შესჩივლა მას თავისი გაჭირვება და სთხოვა რჩევა-დარიგება. გაქნილმა მრავალ ამგვარს საქმეში, გამოცდილმა და დახელოვნებულმა შემდეგი ხერხი ასწავლა მოძღვარს: შენს დიდ ძალს საქონელსა და ცხვარს მოაშორე ძროხები და ბატკნები და სამს დღეს მოამშიე, მესამე დღეს მიუშვი დედებთან და როცა ერთმანეთს საქონელი ბღავილით დაესევა, მაშინ მივალ ხართან და ამ არა ჩვეულებრივის ხმაურობით განცვიფრებულს მოვახსენებ, რომ მოძღვრის ქალმა თავი მოიკლა და ამის გამო ეს ტირილი და ალიაქოთი სოფელშიო.

მოძღვარმა დაუჯერა რჩევა და სწორედ ასევე მოიქცა. როცა მესამე დღეს სოფელში საქონლის ბღავილი ასტყდა და ხმა იქით გაეშურა ამბის შესატყობად, ხანი კი ფერდობიდგან გაკვირვებული გაიცქირებოდა სოფლისკენ, ამ დროს მივიდა მოხუცი მოახსენა ხანსა, რომ მღვდლის ქალმა მოიკლა თავი და გლოვა-ტირილი იმის გამოა სოფელშიო.

თავზარი დაეცა ხანსა, გაქვავდა და მთლად ალეწებული და გონება მიხდილი უახლოვდა იმ ციცაბ ფრიალო კლდეს რომლის პირსაც წყალი უნდა ეყვანა და გადასძახა:—ბუნებავ, ალო კლდენო, დაგიმორჩილეთ ყვენი წერაქვს უჩვევი ფერდო გვაპე, გზა გავაკვლიე, მაგრამ, უჩინარს ბედს რა ვუყო, ტაცა მიჯნური, ჩემი სიცოცხლე, ჩემი გული. აჰა ბედო, მკაცრ შეუბრალებელო, იმ ჩემს სატრფოს საფლავს ეს ჩემი საფლავიცაო. ამ სიტყვებთან ერთად ფრიალო ძირს გადმოეშვა ხანი.

ელვასავით მოედო სოფელს ეს ამბავი მთელს სოფელს ტიროდა ხალხი, აკვნესდა სოფლელის ძაძით შეიმოსა თვით მღვდელი და მისმა სპეტაკმა ქალმა გულმა ვერ გაუძლო რევას, ყვითელ კელეპტარივით დნება, ჩაითუთქა და ცრემლად ულმა სულთმოძრავმა ანდერძად მოსთხოვა სოფელს, რომ მისი საფლავი ხანის საფლავის გვერდით გაეჭრა.

გავიდა დრო. ყველასაგან გაცვეთილი მაცდური ბებერი ცვდა. ხალხმა მისი საფლავი ორ ჯვარნულის შუა გასჭრა და იქნა.

გავიდა დრო.. ცხოვრების ბრძოლამ და ქარტეხილმა დავიწყებას მისცა თითქმის ვერაგ მოხუცისაგან დაღუპულთა ამბავი. მათს ობლის საფლავს-კი ბუნებამ უხვად გამოიტირა. უდროვოდ დაღუპულ ჯერედ გაუფურჩქნავ ორთ მიჯნურთა საფლავზედ ტურფა სუნნელოვანი ვარდის ბუჩქები გაიფურჩქნა. ქალისაზედ დილის ცისკარივით ნაზი და წითლად მოკისკისე კოკობი ვარდი გადიშალა, ხოლო კაცისაზედ სპეტაკი თეთრი, ვით მზისაგან გაბრწყინვებული მთის თოვლიანი მწვერვალი. ორივე ვარდი ყოველ გაზაფხულზედ ნაადრევადვე გადიფურჩქნება, გადაეხვევა ერთმანეთს და ჩაკონილ-ჩახუტული ერთმანეთით სტკბება და სიცოცხლის ნექტარს აპკურებს. მაგრამ დიდხანს არ იყო მათი ბედნიერება და ტრფობა, ცოტა ხნის შემდეგ მაცდურს, ღვარძლით სავსე ბერიკაცის საფლავზედ ამოვიდა ეკალი, თეთრი და წითელი ვარდები ერთმანეთს განაშორა და სიცოცხლე გაუშხამა. როცა პირველს გაზაფხულზედ საამურად გადიშლება ორივე ვარდი და ტოტებით ერთმანეთს მიუახლოვდება, მათ შორის ჩამდგარი ეკალი, ნებას არ აძლევს ერთმანეთის მიახლოვებას. ეხვეწება ორივე ვარდი ეკალს, ნება მისცეს ერთმანეთის გადახვევისა, მაგრამ წყეული ეკალი, ყოველ ასეთს თხოვნაზედ თვის წვეტიანს ნესტრით უმასპინძლდება და ისედაც აცრემლებულსა და დაობლებულს ვარდებს ცრემლების ღვრად აქცევს ხოლმე

**ზ. ედილი.**

წვრიმალის გასჭრის, დიდ-მუხას გაუვლის, ღვანის გაღმა აღმოსავლეთისაკენ ქედზე გაივლის, ვიდრე ბრეთამდის დაიწყებოდეს, ბრეთის მინდვრებს გასჭრის, რომელიც ლიახვის რუთი ირწყვის, სადოლაშენს მოუვლის და გავა, სადაც ფრონე (ღვანის წყალი) ერთვის მტკვარს; აქედან სამწერისზე აივლის და შეჰყვება ქედზე, რომელზედაც გზა მისდევს, ვიდრე ლინზელებამდის გზა დაიწყებოდეს; აქედან გზა და გზა ხევზე ჩავა, რომელიც ერთვის მდ. ძამას, აივლის სერი—სერ, გზა და გზა, ვიდრე შუანოს მწვერვალამდის მივიდოდეს და აქედან ახალციხის მაზრის საზღვრამდე გადავა.

ამ საზღვრებში მოჰყვება ბორჯომის საბოქაულო, სადაც 1545 კომლი ითვლება. სურამისა და გომის საბოქაულოებში — 5521 კომლია; ქარელის საბოქაულოდან გამოიყოფა ხწისის საზოგადოება, რომელშიაც ითვლება 846 კომლი და ამ ახალ მაზრას მიემატება; აგრეთვე გამოიყოფიან ცხინვალის საბოქაულოდან წუნარის საზოგადოება—673 კომლი და ჯავის საბოქაულოდანაც ყორნის საზოგადოებ: — 621 კომლი, რომელნიც ახალ მაზრას შემატებიან.

ბრეთის საზოგადოებიდან ჩამოშორდება ძლევი-ჯვარი—48 კომლი და ცხინვალის საბოქაულოზე გადავა, აგრეთვე წუნარის საზოგადოებიდანაც ჩამოშორდებიან დამპალეთი—25 კომლი—და ყვერნეთი — 24 კომლი, და გადავლენ ცხინვალის საბოქაულოში.

ამას დამტკიცება არა სჭირია, რომ ბორჯომის საბოქაულო უფრო დასამხრისია ხაშურსა, ვიდრე—სურამზედ. ახლა ავიღოთ ხწისისა და ქვიშხეთის საზოგადოება; რასაკვირველია მათ უფრო ეადვილებათ ხაშურში მსვლელობა, ვიდრე სურამში. და რაც შეეხება ალის, ატოცის, ოქონის, ბრეთის, წუნარის და ურბნისის საზოგადოებათ, მათ ხაშური ურჩევნიანთ სურამს, რადგან ხაშურში პირველად უნდა გაიარონ და სურამში ავიდნენ.

სურამს მარტო მისი საზოგადოება რჩება—931 კომლი.

სურამელები ყოველ-ღონეს ხმარობენ, რომ მათი დაბა სამაზრო ქალაქად დაწესდეს. მათის ვიწრო მხედველობისა გამო, თავიანთ გარეშე სხვას არავის ჰხედავენ. სამაზრო ქალაქად რომ სურამი დაწესდეს, მარტო სურამის საზოგადოებისათვის თუ იქნება სარგო, თორემ დანარჩენ 8000 კომლისათვის დაბა ხაშური უფრო და სამხრისია.

IV

საზოგადო კითხვა, რომელიც დღეს ყველას საინტერესოდ მიაჩნია, არის მამულის შენარჩუნება ქართველების მიერ.

ბევრსა ვყვირით, სიტყვების რახა-რუხი ბევრია, საქმით ვერაფერი კეთდება. შეგვიძლიან-კი საქმის გაკეთება, მაგრამ ჩვენის პირადი ცხოვრებისათვის არას ვიკლებთ. ჩვენი უზომო მოთხოვნილებისა გამო ქართველ ხალხს მამულს ვუკარგავთ.

ჩვენ იქამდის დავეცით, რომ ჩვენის ქვეყნის სვე-ბედი არად მიგვაჩნია. ისეთ გადაშენების გზას ვადგივართ, რომ ჩვენთვის სულ ერთია, ვინც დაეპატრონება ჩვენს მიწა-წყალს. ჩვენი მამული, მორწყული ჩვენის მამა-პაპის სისხლით სავანე ჩვენის გმირებისა, ხელიდან გვეცლება.

აი, ერთი ამისთანა, მამული ლამის ხელიდან გამოვაცალოთ ქართველ ხალხს.

ეს არის **ტირიფონა**.

ტირიფონა საამილახვრო მამულია, იგი მდებარეობს პატარა ლიახვს გაღმა, მეჯვრი-ხევის ზემოთ: ტრიალი, თვალ-უწვდენელი მინდორია და შეიცავს სათიბსა და საჰნავ მამულს.

ამ მამულს ვერ შეელევიან შემდეგი სოფლები: ორჭოშანი, კოდის წყარო, ახრისი, სობისი, ქვემო და ზემო ნადარბაზევი, მეჯვრის ხევი, კვარხეთი, კირბალი, ზერტი, ბერშუეთი, ხელთუბანი, ზედგულეთი, შაშვები, ნაწრეთი და სხვ.

ამ ტირიფონის ნაწილი უკვე საგლეხო ბანკშია გადასული შემდეგის მემამულეებისაგან: ნიკოლოზ იოაკიმეს ძე მესხიევისა, კნეინა ქენო ამილახვრისა, თ. დ. დიმ. ამილახვრისა, ნინო ზანდუკელისაგან; კნეინა სოფიო დავითის ასულის გრუზინსკისა კი ეხლა აპირებს საგლეხო ბანკში გადაცემას. **Leqatus.**

## მოწერილი ამბავი

**თელავი.** თელავის თვითმმართველობაზედ გაზეთებში ბევრი იწერება. უთვალი კორესპონდენტი იმას ჰგოდებს და სწუხს, რომ ქალაქის თავი ბ-ნი თათუზოვი და ხმოსნები არა ცდილობენ დაიცვან მოქალაქეთა ინტერესები. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ქალაქის ხმოსნები სულ არაფერს არ ჰფიქრობენ მოქალაქეთა ინტერესებზე, ისინი ტყუილად ატარებენ ხმოსნის სახელს და როგორც კორესპონდენტი ბ-ნი „დავიწყებული" აღნიშნავს, ხმოსნობენ მხოლოდ მისთვის, რომ საჭიროების დროს კენჭით თავიანთი კანდიდატი გაათეთრონ. როგორც უველგან, აქაც ორიოდე ხმოსანი თავიანთ მოვალეობათ მართლა გამსჭვალულნი არიან და, ჰსურთ, რომ რამე გააკეთონ მოქალაქეთა სასარგებლოდ. ქალაქის თავი ბ-ნი თათუზოვი კი, მის მაგიერ, რომ ამ პირებთან კეთილი განწყობილება იქონიოს და მათთან ერთად ემსახუროს ქალაქის ინტერესს, ეძებს რაიმე მიზეზს, რომ მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენოს. ამისი ერთი მაგალითი უკვე იყო აღნიშნული „სახალხო გაზეთში", თუ როგორ უშვერის სიტყვებით მიმართა ხმოსან ფირუზა იშხანოვს და „ტუტუცი" უწოდა. ეგონა, რომ იშხანოვთან ინცინდენტის შემდეგ ბ-ნი თათუზოვი თავაზიანად მოეპყრობოდა ხმოსნებს, მაგრამ თათუზოვი რის თათუზოვია, რომ ამ ინცინდენტმა შეაკავოს და შემდეგისათვის გაფრთხილდეს. ხმოსანი ვანო პაატაშვილი ერთი საუკეთესო ხმოსანია. როგორც ნამდვილი დამცველი მოქალაქეთა ინტერესებისა და პირნათლადაც ასრულებს თავის მოვალეობას. 19 ოქტომბერს, როდესაც ხმოსნებს სხდომა ჰქონდათ, ბ. პაატაშვილს უთხოვნია სიტყვა; ქალაქის თავს ბ-ნ თათუზოვს მიუცია ნება თქმისა, მხოლოდ სხდომის შემდეგ, როდესაც ჟამი აუხსნია. ბ-ნ პაატაშვილს განუცხადებია, რომ უწინ ამ დროს უოველთვის ხარჯის ნიხრი ნაკლები იყო, ვიდრე ეხლა, გამოდის რომ ამ თვეს ჩვენ ყასბებს ხელი შეუწყვეთ და 960 მანეთი ზედმეტი ავადებინეთ. ამას იმისთვის ვამბობ, რომ შემდეგისათვის მაინც თავის დროზედ იყოს ხოლმე კითხვა დაყენებული. ბ-ნ თათუზოვს ლაპარაკი აუკრძალავს და უთქვამს, მაგ საგანზე ლაპარაკს გიპობ, თუ გინდათ წერილობით შეკითხვა შემოიტანეთ და გიპასუხებთო. ბ-ნ პაატაშვილს უპასუხნია: მე წერილობით არა მსურს შეგეკითხოთ, მსურს მხოლოდ შემდეგისათვის მაინც თავის დროზედ დააყენოთ კითხვაო. ამის შემდეგ თათუზოვი აღელვებულა და უთქვამს სხვათა შორის: „შენ თავბედისა არაფერი გაგეგებაო". აი ასე ეპყრობა ბ-ნი თათუზოვი ხმოსნის სამართლიან შეკითხვას,, როდესაც ხმოსნის სურვილია, რომ ხალხი არ იყვლიფებოდეს ტყუილად ორიოდე ყასბის ჯიბის გასასქელებლად. თუ ამისთანა შეკითხვას ბ-ნი თათუზოვი უწოდებს თავბედის გაუგებრობას, საინტერესოა ვიცოდეთ, რასაარ შეკითხვას უწოდებს ბ-ნი თათუზოვი თავბედის გაგებას და ჭკვიანურ შეკითხვას. ამის შემდეგ განა საკვირველია, რომ თელავში არაფერი კეთდებოდეს?! რომელი ხმოსანი იკისრებს დამცირებას და გალანძღვას ბ-ნ თათუზოვისგან! ნუ თუ ამ ინცინდენტმა უშედეგოდ უნდა ჩაიაროს?!

**ამომრჩეველი.**

**ქუთაისი.** როგორც მოგეხსენებათ, შავი ქვის საქმეთა შესახებ პეტერბურგში თათბირია გამართული, როდესაც საგანი აღძრულა იმის შესახებ, რომ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მოქმედების მთავრობის კონტროლი გაძლიერებულ იქმნასო, ბ. ნ. ნიკოლაძეს დიდის თავგამოდებით დაუწყია იმისი დამტკიცება, რომ მიუცილებელია მთავრობის კონტროლი გაძლიერებულ იქმნეს და საბჭოს საქმეები ისეთსავე ნიადაგზედ იქნეს დაყენებული, როგორც ქალაქის თვითმმართველობის საქმეაო. ბ. ნ. ნიკოლაძე რაც დღე გადის უოველდღე ურცხვობისა და უტიფრობის საზღვარს გადადის და ქუთაისის ქალაქის „ბურჯებმა" ასეთი ვაჟბატონი მოინდომეს ქალაქის თავად.

საბჭოს საქმეებში მთავრობის კონტროლი სასამდის უნდა მივიდეს აღარ ვიცით, ვინაიდან საბჭოს ხარჯთ-აღრიცხვას ამტკიცებს მთა-მადნის მმართველობა და კავკასიის ნამესტნიკის კანცელიარია, სარევიზიო კომისსიაში ურევია თვით ნამესტნიკის კანცელიარია, სარევიზიო კომისსიაში ურევია თვით ნამესტნიკის წარმომადგენელი და წარმომადგენელი მთა-მადნის მმართველობისა. ბ. ნ. ნიკოლაძეს უნდა პოლიცია გააბატონოს უველგან. აფერუმ საზოგადო მოღვაწე!

ჭიათურის მრეწველთა საბჭოს საჯადმოყოფაში დოსტაქარი უნდა მოიწვიონ. თუმცა ადგილობრივ გაზეთების საშუალებით მოწვეულ იყვნენ, მაგრამ მთხოვნელი მარტო ორი გამოჩნდაო. ტფილისის მისიიის სამკურნალოს უმცროსი ორდინატორი ექიმი მელკონიანი და ოზურგეთის მაზრის ექიმი თ. ერისთავი. საბჭომ ეს საგანი ვერ გადასწყვიტა, ვინაიდან მთხოვნელთა რიცხვი საკმაო არ იყო, თუმცა ექიმი მელკონიანი ამჯობინა მთხოვნელთა შორის. საბჭო მიანდო საბჭოს თავმჯდომარეს და საჯადმოყოფოს მმართველს პეტერბურგში მოელაპარაკონ ისეთ დოსტაქრებს, რომელთაც დიდი ხანი უმუშავნიათ კლინიკებში და რომელიმე მათგანი მოიწვიოს, რაც შეიძლება ადრე. თუ ჯამაგირის სიცოტავე ხელს შეუშლით, ნება აქვთ ასი თუმანი მოუმატონ აწ დაკანონებულ ჯამაგირს (სამასი თუმანია ეხლა).

**ი. ა.**

## უცხოეთი

**სპარსეთის ყოფილი შაჰი ვენაში.**

26 ოქტომბერს სპარსეთის ყოფილი შაჰი მაჰმედ-ალი ვენაში მივიდა ფარულად და რკინის გზის სადგურზე მას დაუხვდნენ არა-ოფიციალურად სპარსეთის მთავარ საელჩოს წევრნი. მაჰმედ-ალი დასახლდა სასტუმროში, სადაც პოლიციის ფურცლებში იგი თეირანის კერძო პირის, მაჰმედ-ალის სახელით ჩაწერეს, ექს—შაჰი ვენაში ერთს კვირას აპირებს გაჩერებას.

მისმა მოსვლამ უველა დააინტერესა. გაზეთები მრავალს ცნობებს ათავსებენ მისის საიდუმლო ცხოვრებიდან. შაჰის ამალის ერთმა პირმა კორესპონდენტებთან ბაასის დროს განაცხადა, მაჰმედ-ალის აქ მოსვლას არავითარი პოლიტიკური მიზანი არა აქვსო. ერთი გაზეთი-კი ამტკიცებს სპარსეთის წყაროებიდან, რომ შაჰის მოგზაურობას უცხოეთში პოლიტიკური სარჩული უდევს; მას ჰსურს საფრთხე მოუმზადოს სპარსეთის ახალს რეჟიმსაო.

უცხოეთში მაჰმედ-ალი შეხვდება თავის ბიძას ზილი-ეს-სულთანესა და სპარსეთის ყოფილ სამხედრო მინისტრს ბოლადურ ემირს, რომელიც წარსულს ხაფხულს ვენის მახლობლად სცხოვრობდა.

სპარსეთის საქმეთა მცოდნე, უნგრეთის პროფესორი-ორიენტალისტი ვამბერი ირწმუნება, რომ ექს-შაჰს სპარსეთში გაცილებით მეტი მომხრე ჰყავს, ვიდრე იციანო. შესაძლებელია, რომ ევროპაში მოგზაურობით შაჰს ჰსურდეს უკმაყოფილება მოამზადოს თანამედროვე რეჟიმისადმი მოხდენის წინააღმდეგ, რომელსაც აპირებს ლონდონიდან თეირანში დაბრუნებული რეგენტი ნასრ-ულ-მულკიო.

ამობენ ექს-შაჰს სურვილი აქვს სამუდამოდ სპარსეთში დაბრუნდეს, თუ ნებას დართავენო.

ხმებია, ამ ჟამად სპარსეთის რეგენტი ნასრ-ულ-მულკიც ფარულად ვენაში იმყოფება, რათა ექს-შაჰის გეგმა ხაპალოსო.

**არეულობა ინგლისში.**

ლონდონიდან მიღებულ ცნობებით, მუშათა არეულობა სამხრეთ გალლისში სერიოზულს ხასიათს იღებს. მუშებს 26 ოქტომბერს რამდენჯერმე შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან. არეულობის ადგილას დიდძალი ჯარი და პოლიციელი გაიგზავნა.

მინისტრმა ჩერჩილმა დეპეშით დაიბარა მუშათა და მწარმოებელთა წარმომადგენლები სათათბიროდ.

უელსის ნახშირის მწარმოებელ რაიონში მუშათა მღელვარება მატულობს. 26 ოქტომბერს პოლიციასა და მუშათა შორის ნამდვილი ომი იყო. პოლიციამ ჯოხებით მოინდომა ხალხის გაფანტვა, მაგრამ უკუ ქცეულ იქმნა ქვებით. ბოლოს ისევ პოლიციამ გაიმარჯვა და მუშებს წაართვა დაჭერილი პოზიციები. გამოწვეულია დიდძალი ჯარი.

**რევოლიუცია პორტუგალიაში.**

ოფიციალურ სტატისტიკით, რევოლუციის დროს პორტუგალიაში მოუკლავთ 61 კაცი, დაუჭრიათ—417.

**აზეფი რომში.**

ამ დღეებში აზეფი რომში უოფილა. ის რამდენჯერმე ვიდაც ქალთან ერთად უნახავთ ერთს კაფეში იმ პირთ, რომელნიც ამ პროვოკატორს კარგად იცნობენ. რომში მისი მოკვლა ნდომებიათ, მაგრამ პროვოკატორი სიკვდილს ბედნიერ შემთხვევით გადარჩენია. რომიდან აზეფი სადღაც წასულა.

## რუსეთი

**ციხის უფროსთა კრება.**

დეკემბერში პეტერბურგში მოხდება ციხეთა და პატიმრების გამასწორებელ რაზმთა უფროსების კრება.

**სიკვდილით დასჯა.**

სამხედრო სასამართლოს სესიამ სევასტოპოლში 9 კაცს გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა.

**„რუსეთის რევოლუციის დიდედა".**

ცნობილი ქალი ბრეშკო-ბრეშკოვსკაია, რომელსაც მეტ სახელად „რუსეთის რევოლუციის დიდედა" ჰქვიან და კარგა ხანია ადმინისტრაცია სდევნის, დაუსახლებიათ ქალაქ კირენსკში (ომსკის გუბერ.) და პოლიციისთვის დაუვალებიათ მაზე სასტიკის თვალყურის დევნება.

**აფერა.**

ნიკოლაევის ბანკებს მიუღიათ ქუთაისიდანა და კავკასიის სხვა ადგილიდან ფოსტის უწყებანი, სადაც ნაჩვენები ყოფილა, ბარათების მომტანს ფული მიეცითო (სულ 6000 მან.) უწყებათა სიყალბეში ეჭვი შესვლიათ და შესაფერი გამოძიება მოუხდენიათ. გამორკვეულა, რომ ამ ბარათების გაგზავნა ოინი ყოფილა ფოსტის მოხელეებისა, რომელნიც თურმე რუსეთის სხვა და სხვა ადგილებში ჰგზავნიდნენ ფიქტიურ უწყებათ.

**შავ-რაზმელები რუსეთის თეატრის წინააღმდეგ.**

პურიშკევიჩს და მის მოაზრეთ არ მოსწონთ რუსულ სცენების ახლანდელი რეპერტუარი. ამ საგნის თაობაზე მოსალაპარაკებლად ამ დღეებში შეერთებული კრება ჰქონიათ მთავარ-ანგელოზის კავშირის წევრთ და სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენე დეპუტატებს. კრებას, რასაკვირველია, პურიშკევიჩიც დასწრებია. არტისტ ფედოროვს წაუკითხავს მოხსენება შემდეგს თემაზე: „რუსულის სცენის თანამედროვე რეპერტუარი", ფედოროვი ამტკიცებდა, რომ თეატრის რეპერტუარი, მათ შორის საიმპერატორო თეატრებისაც, შეუსაბამოა, რადგანაც რეპერტუარში შეტანილი პიესები მაყურებლებს რყვნის და არევოლუციონერებსო. პურიშკევიჩს მისთვის მხარი დაუჭერია, განუცხადებია, რომ ასეთი პიესების დადგმა საიმპერატორო თეატრებში ყოვლად შეუწყნარებელიაო და მოუთხოვნია შესაფერი შეკითხვა იქმნეს შეტანილი სახელმწიფო სათათბიროში.

## ცირკი ქ. ა. ტრუცისა

შაბათს, 30 ოქტომბერს, გაიხსნა ცირკის საზამთრო სეზონი ქ. ა. ტრუცის ხელმძღვანელობით. თვით ცირკის შენობა, რომელიც წინად ძმათა ნიკიტინებს ეკუთვნოდათ, ბევრად უკეთესად შეკეთებული და განახლებულია. მოთამაშენი 60 ქალი და კაცი ჰყავს. ყველანი დიდის ხელოვნებით თამაშობენ და ჯამბაზობენ.

საზოგადოების დიდს ყურადღებას იქცევენ გაწვრთნილი ინგლისურ-არაბული ცხენები.

პირველ წარმოდგენაზე ცოტას გადარჩა უბედურება არ დატრიალდა. ჯამბაზქალს, გაქცეულ ცხენზე თამაშის დროს, ფეხი გაუსხლტა და ცხენის ფეხებ-ქვეშ მოჰყვა. ბედმა შეიწყალა და ზიანს გადარჩა. წამოდგა და კვლავ თამაში განაგრძო.

საუცხოვოდ დაწვრთნილი ჰყავს გოშპარა ძაღლები და ფინიები.

ანტრაქტების დროს დამსწრე საზოგადოებას ნება ჰქონდა ინგლისურ არაბელი ცხენები და ცირკის მოწყობილება დაეთვალიერებინა. ცირკი ორივე წარმოდგენაზედ ხალხით გაჭედილი იყო.

## განცხადებანი


**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7საათ. ღარიბებს ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—216)

**ექიმი** ნიკო ერისთავი ბათომში

სამხედრო სამკურნალოს ორდინატორი ღებულობს და არჩენს შინაგან, ბავშვებისა და ნერვებით ავადმყოფებს. მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდის ფილტვებით, კუჭით, ნაწლევებით (ბავშვების ფაღარათით) და ქარებით (რევმატიზმით) ავადმყოფებს; ციებ-ცხელების დიაგნოზი ახალის მეთოდით, სისხლის და ნახველის მიკროსკოპიული გამოკვლევა. ბათომი ვლადიკავკავის ქ. N 24. (20—171—7)

**დოქტ. ნავასარდიანისა**

უოველ დღე, კვირეეს გარდა დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1¼ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. ბაგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი:** 5—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. გ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ცენტრალური აზიური ბუფეტი

**ქურ-ღვინო**

ვორონცოვის მოედანზე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

საჭმელები ევროპიული და კავკასიური; ღვინოები კახური საუკეთესო ფირმებისა და სვირული—ბოთლი 25 კაპეიკიდან 1 მანეთამდე; მაგარი სასმელები რუსეთისა და საზღვარ გარეთისა ზომიერ ფასებში; ყოველ-დღე ცოცხალი თევზი; ცალკე კაბინეტები; მოსამსახურენი სუფთა და მკვირცხლი.

ვაჭრობა ღამის 2 საათამდე

(20—160—6) ამხანაგობის გამგე **არჩიპო ჭიჭინაძე.**




მ ო ი თ ხ ო ვ ე თ

**სწორე და მკვიდრი საათები!**

**ნუ გამოეკიდებით იაფ ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.**

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები ხამი საზურავით «ს ე ც ს ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ. უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და სიკარგის ნიშნით". ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).

ПАРИЖЪ 7 PARIS — S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis.

უფასოდ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამშიბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, სცლოდ ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.

(Мецль N 53647). (34—15—13)

**ტფილისის კანტორა**

აუწყებს ბ.ბ. მსყიდველებს, რომ გავხსენით შაქრის სავაჭრო

**ხარკოვის ამხანაგობისა შაქარ-რაფინადის ქარხნისა**

ა დ რ ე ს ი: ტფილისი, ფრეილინის ქ. სახლი № 3, ტელეფონი 567. საწყობი ველიამინის ქუჩაზე, სახლი № 12. ა. გ. სნეჟკოვი. (10—144—10)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოვეს მრეწველობისა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების მაღაზია**

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

**ხიზილალა** ახალი, (Зернистая).

ბარკისა და კოლოფებით

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიღებულია ღვინის ორაგული** (სიომგა) **და წითელი ხიზილალა** (Кетовая). (წ.—128—21)

ერთად-ერთი საწყობი ფითოვეს მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი ხიზილალა (Кетовая)